საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2773 2015 წლის 22 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივისა და სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრისათვის „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისების დაშვების თაობაზე

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების საფუძველზე:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ - საქართველოს ეროვნულ არქივსა და სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრს მიეცეთ თანხმობა, რომ 2016 წლისათვის:

ა) სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვროს არა უმეტეს 70 ერთეულით;

ბ) სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვროს არა უმეტეს 30 ერთეულით.

2. განკარგულება ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი